ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს სტრატეგიულ განვითარებაზე

ევგენი ბარათაშვილი,
ე.მ.დ., სტუ-ს სრული პროფესორი.
ნანა ნადარეიშვილი,
სტუ-ს ასოც. პროფესორი.
ნოდარ ძიძიკაშვილი,
სტრატეგიული დაგეგმვის ექსპერტი.

საქართველოში არსებული ხანგრძლივი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი აუცილებელს ხდის ქვეყანაში ისეთი ფასეულობებისა და იდეოლოგიის დამკვიდრებას, რომლებიც წარმატებული ერებისთვის დიდი ხანია, უმთავრეს პრიორიტეტებად იქცნენ. გასათვალისწინებელია, რომ, გარდა არსებული პოლიტიკური კონიუნქტურისა, არსებობს საზოგადოების ჯანსაღი ინტელექტუალური ნაწილი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომელიც განიცდის იდეოლოგიურ შიმშილს. ამიტომაც, გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი ეროვნული იდეოლოგიური კონცეფციის აქტუალიზაცია, რომელიც მას რეალიზების შესაძლებლობას მისცემს. ახალი იდეოლოგიური კონცეფცია უნდა ეყრდნობოდეს სახელმწიფო მართვის, სტრატეგიული მართვისა და ეკონომიკური განვითარების თეორიებსა და პრაქტიკებს, რომლის რეალიზაცია ქვეყანაში მოითხოვს კრიტიკული მასის შექმნას, სოციალური კაპიტალის მშენებლობას, ჯანსაღ ლიდერობას, ეროვნულ კონსოლიდაციას, კულტურულ მოდერნიზაციას, მართვის თანამედროვე მეთოდების ათვისებას, ინოვაციურ და ტექნოლოგიურ ადაპტაციას. იგი დაფუძნებული უნდა იყოს ცოდნის ეკონომიკის პრინციპებსა და მერიტოკრატიულ ფასეულობებზე, რაც გულისხმობს კონკურენტული ცოდნისა და ნიჭის პრიორიტეტთა წინ წამოწევას და სოციალური სტრატიფიკაციის სისტემაში ახალი ინტელექტუალური რესურსით ელიტების მუდმივ განახლებას.

საგულისხმოა, რომ XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო შევიდა ბობოქარ ცვლილებათა ეპოქაში, რომლის გამოც საზოგადოების ჩვეულებრივი ცხოვრების ყველა მხარე და დინამიკა რადიკალურად იცვლება. სამყარო ხდება შეუცნობადი და ითხოვს ახალ გააზრებას მეცნიერებისაგან და ბიზნესმენებისგან, ხოლო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეებისგან – გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიას.

განსაკუთრებით აქტუალურია გრძელვადიანი ხედებისა და სტრატეგიების შემუშავება ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველო 70 წელი იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, რომელიც დაიშალა დაშვებული სტრატეგიული შეცდომების, არასწორად შერჩეული კურსის გამო. ამის შედეგად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა დაიძრა არა წინ, XXI საუკუნის პოსტინდუსტრიული საზოგადოებისაკენ, არამედ უკან, კაპიტალის პირველადი გადანაწილებისა და საბაზრო ძალთა სტიქიური თამაშებისაკენ, პოლიტიკური დაქსაქსულობისაკენ. მმართველი ელიტის შეცდომების გამო საზღაურის გადახდა მოუწია მრავალტანჯულ ქართველ ხალხს. კონკურენტუნარიანობის დაკარგვის ინერცია ამჟამადაც მოქმედებს. არ არსებობს მკაფიო გრძელვადიანი სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც გაიყვანდა ქვეყანას XXI საუკუნის გლობალიზაციური პოსტინდუსტრიული მსოფლიოს გაშლილ სივრცეზე.

ის აზრი, რომ საბაზრო ეკონომიკა სტრატეგიული დაგეგმვას არ საჭიროებს და ბაზარი ყველაფერს თვითონ დაარეგულირებს არის მცდარი, ან გათვლილია მოსახლეობის მიზნობრივად შეცდომაში შესაყვანად. ლიბერალური ეკონომიკა სულაც არ ნიშნავს მიზნების, ამოცანების, ხედვების, გეგმების გარეშე ცხოვრე-

ბას და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის თავის ნებაზე მიშვებას, როგორც ჩვენთან ხდება. მიუხედავად იმისა, რომ კონკურენციაში მყოფი გამყიდველების ბაზარმა შეიძლება ეკონომიკა ბოლოს და ბოლოს მიიყვანოს სოციალურად ეფექტიან წონასწორობამდე, ეს პროცესი შეიძლება ძალიან გაიწელოს და მეტისმეტად უყაირათო გამოდგეს რესურსების არასწორი ხარჯვის გამო.

ძნელი წარმოსადგენია რა მოხდებოდა აშშ-ში, ან სხვა განვითარებულ ქვეყანაში, რომ სახელმწიფოს (ფასიანი ქაღალდების კომისია) მხრიდან რეგულირებას არ ექვემდებარებოდეს საფონდო ბაზარი? მოხდებოდა ის, რაც ხდება ჩვენთან - არ იმუშავებდა კაპიტალის ის მთავარი ინსტრუმენტი რაზეც დგას საბაზრო ეკონომიკა - ფასიანი ქაღალდების ბაზარი, შედეგად კი ჩაკვდებოდა კონკურენცია ე. ი. არ იქნებოდა საბაზრო ეკონომიკა, რადგან ბაზარი კონკურენციის გარეშე არ არსებობს. ეს ხომ უკვე გვქონდა 70 წლის განმავლობაში? ჩვენთან, პრივატიზაცია წარიმართა შეცდომებით, ერთმა მუჭა მოხერხებულმა პიროვნებებმა სახელმწიფოს ხელშეწყობით ხელში ჩაიგდეს ქვეყნის დოვლათი, რადგან არ მოხდა ქონების საწარმოთა აქციებში გადასვლა და შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ემისია. ამასთან, საქართველოში გააუქმდა ფასიანი ქაღალდების კომისია, რითაც განუვითარებელი დარჩა ახალფეხადგმული საქართველოს საფონდო ბაზარი. მოსახლეობა დარჩა ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის გარეშე, რითაც საფუძველი ჩაეყარა არაკონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, მონოპოლიების შექმნასა და კარტერულ გარიგებებს.

ამას დაერთო სამომავლო ხედვის უქონლობა და რეალურ გათვლებზე დამყარებული ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არ არსებობა, რომელმაც შექმნა არასტაბილურობა როგორც მუნიციპალურ, ისე რეგიონალურ და ქვეყნის მასშტაბით. სწორედ ამიტომ, მოსახლეობა ხშირად მოუფიქრებელი და იმპულსური გადაწყვეტილებების მიღების მოწმე ხდება, რომელთა გამოსწორება შემდგომში ითხოვს დიდ ფულად, ადამიანურ და დროის დანახარჯებს. შედეგი კი ისაა, რომ როგორც წესი ზარალდება არა მთავრობა ან კონკრეტული ჩინოვნიკი, არამედ თითოეული ჩვენგანი, საბოლოდ კი ქვეყანა.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის უქონლობის გამო უჭირთ მუშაობა როგორც ადგილობრივ ბიზნესმენებს, ისე ინვესტორებს. ყველას აინტერესებს რა მიმართულებით მიდის ქვეყნის განვითარების ვექტორი, რა დროში გაწერილი პრიორიტეტებია არჩეული ქვეყანაში და რა სტრატეგია გააჩნია მთავრობას ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად. რაც მთავარია დღემდის არ არსებობს ქვეყანაში თანამედროვე თეორიებზე და მიდგომებზე დამყარებული მოსახლეობისთვის საჯაროდ გამოტანილი განვითარების სტრატეგიები არც დარგების, არც რეგიონების, და მითუმეტეს ქვეყნის. უფრო მეტიც, განვითარების სტრატეგიები არ გააჩნიათ თვით ბიზნეს-სტრუქტურებსაც კი, ზოგიერთის გამოკლებით. ასეთ პირობებში ხელისუფლების მიერ ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე და რეალურად წარმოუდგენელი განვითარების გეგმის გარეშე ეკონომიკურ წარმატებაზე ლაპარაკი ეჭვს იწვევს როგორც მოსახლეობაში და ბიზნეს-წრეებში, ისე ინვესტორებს შორისაც.

სახელმწიფო რეგულირების შესახებ შეიძლება ამერიკელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის ვასილი ლეონტიევის სიტყვების გახსენება, რომელიც მან საბჭოთა კავშირში სტუმრობისას გაზეთ "პრავდის" რედაქციაში განაცხადა რუსულად, 1989 წელს: "Я увлекаюсь парусным спортом и, когда объясняю студентам,как функционирует экономика страны, сравниваю ее с яхтой в море. Чтобы дела шли хорошо, нужен ветер, - это заинтересованность. Руль - государственное регулирование. Компас - стратегия. У американской экономики слабый руль. Нельзя делать так, как говорил Рейган: поднимите паруса, пусть их наполнит ветер, и идите в кабину коктейли пить. Так нас и на скалы вынесет, разобьет яхту вдребезги. У Советского Союза сейчас наоборот: ветер не наполняет паруса, компас не работает,а тогда и руль не помогает. Я думаю, что более правильно делают японцы. У них,конечно,есть частная инициатива,есть чёткая стратегия,но и государство играет большую роль, влияя на развитие экономики в лучшем направлении. Из всех капиталистических стран, у которых в настоящее время можно чему-то поучиться, я бы выбрал не США, а Японию.[1]"

ლეონტიევის რწმენით, ეკონომიკის გართულება აძლიერებს სტრატეგიული დაგეგმვის მნიშვნელობას ეროვნულ მასშტაბში. თავისი შეხედულებები სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ მან არაერთხელ გამოხატა პრესის მეშვეობით. აი, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც მან გამოაქვეყნა 1981 წლის თებერვალში გაზეთ "ნიუ იორკ ტაიმსში[2]". მისი აზრით, შეიძლება ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკაში იყოს 2 მიდგომა: 1) ***მოსინჯვისა და შეცდომების;*** 2)

[1] Леонтьев В.В. Экономические эссе. Теории,исследования, факты, политика. М., 1990. С. 11-15.

[2] Леонтьев В.В. Межотраслевая Экономика. Пер. с англ. М.: Экономика. 1997 стр. 20-21.

სტრატეგიული (ანუ გეგმიური).

პირველი მიდგომა განწირულია ჩასავარდნად, იმის გამო, რომ ეკონომიკური პოლიტიკა, მიმართული რომელიმე კერძო სექტორისკენ, არა მარტო მოახდენს ზემოქმედებას იმ სფეროებზე, რომლისკენაც ის იქნა უშუალოდ მიმართული, არამედ ასევე გამოიწვევს წინასწარგანზრახულ და ნეგატიურ გამოვლინებებს სხვა სფეროებში. სწორედ ეს მიდგომა ედო საფუძვლად საქართველოს წინა ხელისუფლების მოქმედებებს.

რაც შეეხება მეორეს, ვ. ლეონტიევი ასკვნის რომ "კერძო დაინტერესების გარეშე მაღალი მწარმოებლურობის მიღწევა შეუძლებელია, სულ ცოტა "რბილი" (Iნდიკატივე) დაგეგმვის გარეშე ცივილიზებული საზოგადოება, ჩემის აზრით, არსებობას ვერ შეძლებს"[3]. სტატიის ავტორებიც აღნიშნულ შეხედულებებს იზიარებენ.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას საფუძვლად უდევს გრძელვადიანი კონცეფციები, სტრატეგიები, მიზნობრივი პროგრამები, სამუშაო გეგმები და სხვა სახის კომპლექსური დოკუმენტები, რომლებიც შემუშავებულია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობით, განხილული და მოწონებულია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ და დამტკიცებულია უმაღლესი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ. ასეთი დოკუმენტებით ხდება ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრიორიტეტების დადგენა, მათი დინამიკისა და სტრუქტურის ტრაექტორიების განსაზღვრა, მიზანთა სისტემის დადგენა, მათი რესურსული უზრუნველყოფის დაგეგმვა და შესრულების ვადებისა და შემსრულებლების დავალდებულება. მოცემულ დოკუმენტთა სისტემაში გაწერილი სამუშაოებისა და ღონისძიებების შესრულების მიმდინარეობაზე სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება სისტემატიური მონიტორინგი-ზედამხედველობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მათში ხდება გარკვეული სხვა სახის კორექტივების შეტანა. შესაბამისად, ქვეყნის მთავრობა სისტემატურად ახდენს ნებისმიერი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამოქმედო პროგრამის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენას და სათანადო ღონისძიებათა კომპლექსის დასახვას, რათა მათ შესრულებას დადგენილ დროში საფრთხე არ დაემუქროს. ეკონომიკის გრძელვადიან განვითარებაზე ასეთი კომპლექსური და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა პრაქტიკაში კარგადაა აპრობირებული და მას, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, სხვა ალტერნატივა არ გააჩნია.

სხვა საკითხია იმის გარკვევა, თუ რა მიზნებს ისახავს ეკონომიკაში სტრატეგიული დოკუმენტის შედგენა. ასეთ დოკუმენტის შემუშავებას შეიძლება ჰქონდეს შემდეგი მიზნები:

- მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა და შესაბამისი გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება ტექნოლოგიური წყობის, არსებული რესურსებისა და გლობალური ცვლილებების გათვალისწინებით;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სწორი ორიენტირების განჭვრეტა და სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება გრძელვადიან პერსპექტივაში;
- მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ანტიკრიზისული და განვითარებაზე ორიენტირებული გეგმების დასახვა;
- უცხო ქვეყნების დიქტატით, მაამებლური და მარიონეტული პოლიტიკის განხორციელება, საკუთარი ეროვნული ეკონომიკის დეგრადაციის ხარჯზე, როდესაც ყველაფერი გათვლილია მოკლევადიან, ფასადურ წარმატებებზე, ხოლო პერსპექტივაში ქვეყანა ვარდება საგარეო ვალებში და ეკონომიკურ კოლაბსში;
- ვიწრო პარტიული ინტერესები ელექტორატის მოსაზიდად და ღ-სთვის.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებიდან გამომდინარე, ყალიბდება ხოლმე სტრატეგიული დოკუმენტები, რომლებიც შესაბამისად გამიზნულია ან საკუთარი ქვეყნის განვითარებისთვის და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, ან უცხო ქვეყნების იდეოლოგიის გასამაგრებლად, პარტიული ინტერესებისათვის და "სკამების" შენარჩუნებისათვის.

2010 წელს გამოქვეყნდა "საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია"[4], რომლის ტრანსფორმაციისა და კარდინალურად შეცვლის აუცილებლობა უკვე აშკარად დადგა დღის წესრიგში (რასაც აღიარებენ სახელმწიფო მოხელეებიც). ე. ი. უკვე ჩამორჩა დროს.

ჩვენი აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში, ცალკეულ დარგში შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტი ვერ იქნება ეფექტიანი, სანამ არ შემუშავდება მთლიანად ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგია. აღნიშ-

[3] Леонтьев В.В. Межотраслевая Экономика. Пер. с англ. М.: Экономика. 1997 стр. 21.

[4] "საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. http://www.regnet.org.ge/65,ganvitareba_sakartveloshi

ნული სტრატეგია დაფუძნებული უნდა იყოს სამომავლო ხედვაზე, ტექნოლოგიური წყობის პროგნოზირებაზე და განჭვრეტის თეორიაზე[5]. საინტერესოა, როგორ შეიძლება განათლების სისტემის რეფორმა და დაგეგმვის განხორციელება, როდესაც ცნობილი არ არის ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების ორიენტირები. კადრების მომზადება ხომ გრძელვადიანი პროცესია? ამიტომ წინასწარ უნდა იყოს ცნობილი თუ რა სპეციალისტები და რა რაოდენობით დასჭირდება ქვეყანას 15-25 წლის შემდეგ, რომ სასწავლო პროცესი დროულად გადაეწყოს მათ მოსამზადებლად.

ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარების სტრატეგიების შემუშავებას წინ უნდა უსწრებდეს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთიანი, კომპლექსური მაკროეკონომიკური სტრატეგია, რომელიც უნდა იყოს დარგობრივი და რეგიონული სტრატეგიების ამოსავალი. **გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის ქვეყნის განვითარების მეცნიერულად არგუმენტირებული ერთიანი კომპლექსური სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო პროგრამების შემუშავება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პირველი რიგის ამოცანაა.** ავტონომიურ, გამოცალკევებულ რეჟიმში შემუშავებული დარგობრივი და რეგიონული სტრატეგიები მუდმივი ცვლილებებისა და ტურბულენტობის რეჟიმში იქნება მანამ, სანამ მათ საფუძვლად არ დაედება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიანი კომპლექსური სტრატეგია. ეკონომიკა სისტემური, მრავალწახნაგოვანი და კაუზალური კავშირებით მოცული სისტემაა, სადაც ერთი რომელიმე მაჩვენებლის ცვლილება მთლიანად ცვლის მთელს ეკონომიკურ სისტემას. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია ჯერ აშენდეს ეკონომიკის მტკიცე საყრდენი, ანუ ჯერ შემუშავდეს ქვეყნის ერთიანი, კომპლექსური განვითარების სტრატეგია, ხოლო შემდეგ – მთელი შენობა, ანუ, დარგების, დარგთაშორისი სისტემებისა (კლასტერები, ტექნოპარკების, აუთსორსინგული ქსელების, ჰოლდინგების, ალიანსების, თავისუფალი ზონების და ა.შ.) და რეგიონების განვითარების სტრატეგიები. ასეთი მიდგომის ეფექტიანობა განპირობებულია იმითაც, რომ ერთიან გლობალურ, მაკროეკონომიკურ საქვეყნო სტრატეგიაში თავს იყრის ისეთი ინდიკატორების სისტემა, რომლებიც არ ფიგურირებენ და არც შეიძლება ფიგურირებდნენ დარგობრივ-რეგიონულ სტრატეგიებში[6]. საუბარია ისეთ პარამეტრებზე, რომელთა რეგულირება, დაგეგმვა და ორიენტირება მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში შედის და დარგები და რეგიონები მათზე გავლენას ვერ მოახდენენ. მაგალითად, ინფლაციური პროცესები, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა და სხვა. ნებისმიერი ლოკალური (ჩვენს შემთხვევაში დარგობრივი და რეგიონული) სტრატეგია გვერდს ვერ აუვლის ქვეყნის მაკროეკონომიკური განვითარების გრძელვადიან ორიენტირებს და პოლიტიკურ ხედვებს. ბუნებრივია, რომ მათი გათვალისწინების გარეშე აგებული ლოკალური სტრატეგიები მხოლოდ პასიური, საცნობარო, პუბლიცისტურ ხასიათს ატარებს და დროის ძალიან მცირე მონაკვეთში ამორტიზირებული ხდება. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ თანამედროვე ეტაპებზე მსოფლიოში სწრაფი ტემპებით მიმდინარე ტექნოლოგიურ წყობათა ცვლილებები და ეკონომიკური ტრანსფორმაციები დღის წესრიგში აყენებს ნებისმიერ სტრატეგიაში შესაბამისი კორექტირებისა და დამატებების აუცილებლობას.

საქართველო, როგორც მსოფლიო ეკონომიკურ თამაშებში ჩართული (ჯერ-ჯერობით უფრო ცალმხრივად) ქვეყანა გამონაკლისი ვერ იქნება. იგი იძულებულია ფეხი აუწყოს ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს და თავის სასარგებლოდ შემოაბრუნოს მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის ვექტორთა მდგენელი.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვების შემუშავებისას დგება დღის წესრიგში, მდგომარეობს პრიორიტეტების განსაზღვრაში. პრიორიტეტები, რომლის არსია პირველობა, განსაკუთრებულობა სხვადასხვა ამოცანათა ჩამონათვალში ერთგვაროვნად არ უნდა იქნას გაგებული ეკონომიკის სტაბილური და არასტაბილური განვითარების პირობებში. არასტაბილური, კრიზისულ-ტურბულენტური ეკონომიკური ვითარების პირობებში პრიორიტეტები მოკლევადიანი ხასიათისაა და მიმართულია შექმნილი სიტუაციების მოკლე დროში და დროებით ("ხანძრის ლოკალიზაციისათვის") დასარეგულირებლად. სტაბილური ეკონომიკურ-პოლიტიკური სიტუაციის დროს პრიორიტეტები გრძელვადიანი ხასიათისაა და ორიენტირებულია

[5] რეგიონული სტრატეგიები – ქვეყნის განვითარების საწინდარი. ე. ბარათაშვილი, ნ. ძიძიკაშვილი, ნ. ნადარეიშვილი, თ. აბრალავა. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა" №3. 2008. 63-66გვ.

[6] World development indicators 2012. **data.worldbank.org/sites/default/.../wdi-2012-ebook.pdf.**

არა მხოლოდ იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რომელიც მოცემულ ეტაპზე მიჩნეულია პირველი რიგის ამოცანებად, არამედ იმ ახალი გამოწვევა-პრობლემების თავიდან ასაცილებლად ან დასარეგულირებლად, რომლებიც შეიძლება აღმოცენდნენ მომავალ პერიოდში. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტექნოლოგიური წყობის ცვლილებათა მეცნიერული განჭვრეტა (ტექნოლოგიური ციკლების გათვალისწინებით) და ამ ცვლილებების ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ დრომდე საქართველოში არ იყო შექმნილი გრძელვადიანი პრიორიტეტების ფორმირებისთვის საჭირო ხელსაყრელი გარემო. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ქვეყნის წინაშე იდგა ერთადერთი ყველაზე გადაუდებელი ეკონომიკური პრიორიტეტი, რაც გულისხმობდა ენერგეტიკული პრობლემების საბოლოო გადაჭრას. ეკონომიკურ პრიორიტეტთა ნებისმიერ ჩამონათვალში ენერგეტიკა ყოველთვის და ყველა ქვეყანაში ნომერ პირველია და ეს ლოგიკურიცაა, რადგან ენერგეტიკული უზრუნველყოფის გარეშე სხვა დანარჩენი არც ერთი პრიორიტეტის პრაქტიკული რეალიზაცია შეუძლებელია. სამართლიანად უნდა ითქვას, რომ დღევანდელ ეტაპზე საქართველოში პრიორიტეტთა პრიორიტეტის - ენერგეტიკის პრობლემა დაძლეულია, მიღწეულია ენერგეტიკული უსაფრთხოება, რითაც გზა ეხსნება სხვა პრიორიტეტებისკენ ძალისხმევის მიმართვას და პრაქტიკულ რეალიზაციას (ხელისუფლების სურვილის შემთხვევაში).

უკანასკნელ პერიოდში პრიორიტეტებმა გადაინაცვლეს ისეთ დარგებსა და სფეროებზე, როგორიცაა **ინფრასტრუქტურული კომპლექსი**, **ტურიზმი** და **სოფლის მეურნეობა**. მაგრამ, ეკონომიკურ პრიორიტეტთა სისტემის პრაქტიკულ რეალიზაციას სჭირდება სათანადო მეთოდოლოგიურ-ორგანიზაციული და სტრატეგიული უზრუნველყოფა. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული სამი პრიორიტეტიდან არცერთს არ გააჩნია სრულყოფილი, კლასიკურ ფორმაში გაწერილი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია.

გრძელვადიანი მომავლის, მიზნებისა და მათი მიღწევის სტრატეგიის განჭვრეტის უქონლობა იწვევს კონკურენტუნარიანობის და ფოკუსირების დაკარგვას, ასევე შეზღუდული რესურსების არარაციონალურ ხარჯვას.

უკანასკნელი 15-20 წელია სახელმწიფო პოლიტიკა საქართველოში უმეტესად კონცენტრირებულია მაკროეკონომიკურ დონეზე. რა თქმა უნდა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა წარმოადგენს ეკონომიკაში წარმატების ფუნდამენტურ საფუძველს. მაგრამ, მთავრობის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტების ტრადიციული ნაკრები ძალიან შეზღუდულია და არ იძლევა მთავარი მიზნის მიღწევის საშუალებას - ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და შესაბამისად, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

თუ მოხდება სახელმწიფო პოლიტიკის ფოკუსირების ცვლილება მაკროეკონომიკიდან მიკროეკონომიკაზე და ქვეყანაში იარსებებს განსაზღვრული ტერიტორიები, როგორც ეკონომიკური ცენტრების, კლასტერების განვითრებისათვის საჭირო ატრიბუტები, მაშინ მნიშვნელოვნად იზრდება რეგიონალური ადმინისტრაციების როლი სტრატეგიის შემუშავების პროცესში. მითუმეტეს, თვითმართველობების შესახებ ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ.

იგივე შეიძლება ითქვას ქვეყნის ხელმძღვანელობის მიმართ, სახელმწიფო დონის სტრატეგიული პოლიტიკის განხორციელებისას.

ეკონომიკის გლობალიზაციამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოსთვის პრინციპულად ახალი პროექტების განხორციელებაც. კერძოდ - ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობის გამოყენება მსოფლიო ეკონომიკისა და ვაჭრობის გასავითარებლად და ამ მიზნით, უფრო ეფექტური სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა. ეს, საკმაოდ ძვირადღირებული პროექტებია და მოითხოვს მასზე ინტენსიურ მუშაობას. ასეთი სახის პროექტებისადმი ინტერესი, შეიძლება გაღვივდეს, მხოლოდ ყველაზე მაღალი დონის საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების შემდეგ. პროექტის რეალიზაცია შეუძლებელია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელების მიერ პოლიტიკური ნების გამოხატვის გარეშე. მაგრამ, მაღალია ჯილდოც, ასეთი ინიციატივის წარმატების შემთხვევაში - მასშტაბური ინვესტიციების რეალურად მოზიდვა, მისი "ბუნებრივად" შემოდინების უნაყოფო და ინფანტილური ლოდინის ნაცვლად. მეტიც, ასეთი პროექტის რეალიზაცია – უნიკალური იქნება საქართველოსთვის თავისი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მოსაწყობად და ამ მასშტაბურ და გრძელვადიან საქმიანობაში ქვეყნის ადამიანური, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ჩართვის მხრივ, რითაც საქართველო გახდება მსოფლიო საინფორმაციო და სატრანსპორტო სივრცის აქტიური ნაწილი. ასეთი შანსი არ შეიძლება იყოს ხელიდან გაშვებული. სახელმწიფო დონის სტრატეგიული პოლიტიკა არ ჩამოყალიბდება თავისთავად, მსოფლიო ბაზარზე

მოქმედი ძალების გავლენით. მაგრამ, მისი წამოწევა, ჩვენ, ქართველებმა უნდა ვითავოთ და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლად უნდა ჩამოვაყალიბოთ.

საინტერესოა კიდევ ერთი თეზისი, რომელიც დასავლეთშია მიღებული და პირადად ჩვენთვისაც ნათელია, რომ პოსტსაბჭოურ სივრცეში პრეზიდენტების პოლიტიკა უფრო იმპროვიზაციაზეა აგებული და არა ხანგრძლივვადიან ინტერესებზე. ეს თეზისი შეიძლება ახლოს იყოს საქართველოს რეალობასთან, მაგრამ ნუთუ დასავლეთშიც არ არსებობს მომავლის გრძელვადიანი ხედვა, თუნდაც 10-15 წლიანი? დიახ, არსებობს, არსებობს სამოქალაქო საზოგადოებაში, რომელიც სტაბილურია და არ არის დამოკიდებული არჩევნების შედეგებზე. ამიტომ სამოქალაქო საზოგადოების მიზნები უფრო პერსპექტივებზეა გათვლილი, თანაც დასავლეთში ჩამოყალიბდა ისეთი პოლიტიკური კულტურა, რომ ხელისუფლებიდან წასული პოლიტიკოსი ობსტრუქციზმის ობიექტი არ ხდება. ის კვლავ მონაწილეობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მეტიც, ამერიკული ინტელექტუალური ელიტა და პოლიტიკა თავისებური სიამის ტყუპები არიან. შესაძლოა პიროვნება დღეს თეთრ სახლში მსახურობდეს, ხვალ რომელიმე ინსტიტუტში, ზეგ ადმინისტრაციის შეცვლასთან ერთად კვლავ თეთრ სახლში დაბრუნდეს. ამიტომ ელიტის იდეებიც უფრო სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და არ ამოიწურება მხოლოდ არჩევნებში გამარჯვების მოლოდინთან, მაგრამ დემოკრატიის მინუსი ის არის, რომ არჩევნებში უნდა გაიმარჯვო. თუ ვერ გაიმარჯვებ, მონაწილეობას ვერ მიიღებ გადაწყვეტილების მიღებაში. ამაშია იმ სუსტი დემოკრატიების პრობლემა, როგორიც თუმდაც, საქართველოშია. აქ არსებობს ელიტა, რომელიც არჩევნებში გამარჯვებისათვის იბრძვის, მაგრამ არ არსებობს ელიტა, რომელიც არჩევნებზე არ არის დამოკიდებული და ქვეყნის მომავალზე ფიქრობს. და ისმის კითხვა. რა განსხვავებაა, სახელმწიფო მოღვაწესა და დიდ სახელმწიფო მოღვაწეს შორის? დიდი სახელმწიფო მოღვაწე ქვეყნის მომავალზე ფიქრობს, სახელმწიფო მოღვაწე კი, არჩევნების მოგებაზე. დიდი სახელმწიფო მოღვაწე ქვეყნის მომავალზე ფიქრში, როგორც წესი, არჩევნებში მარცხდება და კარგავს შანსს, გახდეს დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ანუ, საჭიროა ისეთი ელიტის არსებობა, რომელიც არჩევნებზე არ იქნება დამოკიდებული, ვინც ქვეყნის მომავალზე იფიქრებს და ეს, მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, ქვეყნის განვითარებისათვის.

დასავლეთში ასეთი ელიტის წარმომადგენლები გავლენიან და პატივსაცემ ადამიანები არიან. ისინი ზოგჯერ მათზე უკეთესად არიან მატერიალურად უზრუნველყოფილნი, ვიდრე პოლიტ-ტექნოლოგები, რომლებიც პრეზიდენტებს ქმნიან. პოსტსაბჭოთა სივრცეში კი ყველაზე მაღალანაზღაურებადი შრომა პოლიტ-ტექნოლოგისაა. ამიტომ, თუნდაც ადგილობრივ არჩევნებისთვის საარჩევნო კამპანიის დაგეგმვისას ადამიანი მეტ შემოსავალს იღებს, ვიდრე კარგი წიგნის დაწერისას. ეს არანორმალური სიტუაციაა, რომელიც დასავლეთში არ არსებობს.

ამგვარად, რეგიონის ან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება - ეს საკმაოდ მრავალგეგმური და მრავალდონიანი ამოცანაა. მისი გადაწყვეტა წარმოუდგენელია ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ მასზე მოთხოვნილების ნათლად გააზრების გარეშე. ადმინისტრაციული რეფორმა, გარეპოლიტიკური ხელშეკრულებები და შესაბამისი გარდაქმნები ეკონომიკაში უნდა გახდეს ამ სამუშაოს განუყოფელი ნაწილი. ამასთანავე, მისი გლობალური ხასიათი არ უნდა გახდეს სტრატეგიის შემუშავების "შემდეგისთვის" გადადების მიზეზი. სტრატეგიის შემუშავება, საკმაოდ კონკრეტული, ტექნოლოგიური და სავსებით "ასაწევი" ამოცანაა მათთვის, ვისაც ესმის მისი აზრი და გადაწყვეტის აუცილებლობა.

რაც შეეხება საქართველოში მდგრადი ეკონომიკური სიტუაციის ჩამოყალიბებას, აქ მთავარი შემაფერხებელი მუხრუჭია არაკონკურენტუნარიანი გარემო, რაზეც მოწმობს დავოსის ეკონომიკური ფორუმის მასალები, სადაც საქართველოს მსოფლიოს ქვეყნებს შორის 77-ე ადგილი უკავია. რაც არ უნდა იტრაბახოს ხელისუფლებამ მსოფლიო ფონდის მონაცემებით ნომერ პირველი რეფორმატორი ვარო, ეკონომიკის მთავრი მამოძრავებელი ძალის– კონკურენტუნარიანობის შეფასებით ქვეყანა მიეკუთვნება არაკონკურენტუნარიან ქვეყანას, კლანური ეკონომიკით.

ერთ-ერთი განმარტება, რომელიც ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა მაიკლ პორტერმა ჩამოაყალიბა, ხაზს უსვამს, რომ კონკურენტუნარიანობის უფრო ზუსტად გასაგებად საჭიროა განისაზღვროს - რას მიჰყავს ქვეყანა აყვავებისკენ.

ქვეყნის ცხოვრების დონის სტანდარტები განისაზღვრება მისი ეკონომიკის მწარმოებლურობით, რომელიც იზომება კაპიტალის, ადამიანური და ბუნებრივი რესურსების ერთეულზე წარმოებული საქონლისა და მომსახ-

ურების ღირებულებით. ამგვარად, „კონკურენტუნარიანობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც მწარმოებლურობის სტაბილური ამაღლება, რომელსაც მივყავართ თითოეული ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამდე”[7].

მაიკლ პორტერის თანახმად მწარმოებლურობის საფუძვლები ემყარება ორ ურთიერთდაკავშირებულ სფეროებს:

კონკურენტულ სფეროში (ადგილობრივი და უცხოური) კომპანიების მიერ ჩატარებული ოპერაციების ხარისხობრივ დონეს;

ბიზნეს გარემოს ხარისხს მიკროდონეზე, რომელზედაც კომპანიები ახდენ ოპერირებას.

ქვეყანას, რომელსაც სურს, რომ ჰქონდეს მაღალი დონის მწარმოებლურობა და იყოს კონკურენტუნარიანი, აუცილებელია, რომ გააჩნდეს მაღალი მწარმოებლური კომპანიები. უფრო მეტიც, მაღალმწარმოებლური და გამოცდილების მქონე კომპანიების გარდა კონკურენტუნარიან ქვეყანას ასევე აუცილებელია, რომ ჰქონდეს სამართლიანი სასამართლო და მაღალი ხარისხის ბიზნეს გარემო. ამ შემთხვევაში, კონკურენტული უპირატესობის მისაღებად უდიდესი როლი ენიჭება სახელმწიფოს. ე.ი. თუ არ იქნება კონკურენტული გარემო არ გვეყოლება კონკურენტუნარიანი საწარმოები და მაშასადამე ქვეყანაში არ იქნება პროგრესი, რომელიც ქვეყნის მეწარმეობას განავითარებს, შექმნის საშუალო ფენას და აამაღლებს ცხოვრების ხარისხს მოსახლეობისთვის.

ქვეყნის განვითარებაზე მსჯელობა დიდი ხნით ადრე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ რადგან დაიწყო ესეც დიდი პლიუსია. დღეს საქართველოსთვის და კერძოდ რეგიონებისთვის, ეს აუცილებელია. ვასილი ლეონტიევის ალეგორიის მსგავსად, დღეს ჩვენი ქვეყანა ჰგავს შუა ოკეანეში გასულ გემს კომპასისა და რუკის გარეშე (კომპასი ხედვაა, ხოლო რუკა - სტრატეგია), რომელმაც არ იცის საით უნდა გასცურაოს.

საქართველო ერთ-ერთი ის ქვეყანაა, რომელსაც არ გააჩნია ნათელი, პრაგმატული, კარგად მოფიქრებული გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა საზოგადოებრივი, ინოვაციური და ტექნოლოგიური განვითარების პროგნოზებზე და სამომავლო ხედვაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განსაზღვრული გრძელვადიანი პოლიტიკა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნებოდა, იმიტომაც, რომ, პოლიტიკური ელიტის შეცვლისას, მოსახლეობას გარანტირებული ექნებოდა მემკვიდრეობითი და სახელმწიფო პოლიტიკის წინასწარ განჭვრეტილი, სტაბილური სცენარი.

ამიტომ, დღეს, ჩვენი მეცნიერების, სახელმწიფო მოღვაწეების, პოლიტიკოსების, საქმიანი წრეების ლიდერთა წინაშე დგას ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შერჩევის ისტორიული ამოცანა (და პასუხისმგებლობა) ამ საუკუნის პირველი ნახევრისათვის. საკმაოდ ნათლად ისახება ამ სტრატეგიის ორი ვარიანტის კონტურები – ინერციულ-საბაზრო-რესურსული და ინოვაციურ-გარღვევითი.

<u>**ინერციულ-საბაზრო-რესურსული სტრატეგია**</u> ეფუძნება ნეოლიბერალიზმსა და საბაზრო ფუნდამენტალიზმს. სახელმწიფო, პასიური როლის პირობებში იმედს ამყარებს ბაზრის ყოვლისშემძლეობაზე. ამასთან, ხელისუფლება უარს აცხადებს თავისი სტრატეგიულ-ინოვაციური ფუნქციის შესრულებაზე, ფართოდ უღებს ეკონომიკის კარს ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც ქვეყანას იყენებენ ადგილობრივი რესურსების მოპოვების წყაროდ და თავიანთი პროდუქციის გასაღების ბაზრად. ასეთი სტრატეგიის შედეგად ქვეყანა მუხრუჭდება და რჩება მსოფლიო სამეცნიერო-ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესის პერიფერიაზე, უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შემდგომი კარგვა და ქვეყნის დამორჩილება ავანგარდული სახელმწიფოებისა და ტნკ-ების მიერ, გრძელდება წინა ექსპერიმენტების გამო დასუსტებული მოსახლეობის კიდევ უფრო დაბეჩავება და საგარეო ვალების გამო დგება ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხე.

ამჟამად, ქვეყანა იმყოფება **ინოვაციური გარღვევის სტრატეგიის** შერჩევისა და რეალიზაციის აუცილებლობის წინაშე. ამისათვის საჭიროა ხალხის, სახელმწიფოს, ბიზნესის ძალისხმევის კონცენტრაცია, პრინციპულად ახალი, კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიებისა და პროდუქტების საწარმოებლად, მოძველებული საწარმოო აპარატის ინოვაციურად გასაახლებლად, განვითარების ინოვაციურ რელსებზე ქვეყნის გადასაყვანად, ახალი თაობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად, შესაძენად და ასათვისებლად, ინტეგრაციული პროცესების ეფექტიანად გამოსაყენებლად, მეწარმეების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, ახალგაზრდა თაობის ინოვაციური აქტიურობის ამაღლებაში ხელშესაწყობად, რომლებმაც უნდა მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და განახორციელონ ისინი მომავალ ათწლეულებ-

[7] Портер, Майкл, Э. Конкуренция,: Пер. с англ. – М.: Издательский дом «Вильямс». 2005. 608 с.

ში. მხოლოდ ამის საფუძველზე შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკური ზრდის ტემპი და სოციალური განვითარება.

საქართველოს ინოვაციური კონცეფციის ძირითადი მიზნები უნდა იყოს:

♦ სახელმწიფოსა და ბიზნესის რესურსების კონცენტრაცია გამრღვევ ინოვაციურ ტექნოლოგიებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობას, ახალი საბაზრო ნიშის ათვისებას, ეკონომიკური ზრდის ტემპების აჩქარებას;

♦ ქვეყნის ძირითადი ფონდების ინოვაციური განახლება, ინვესტიციების შემობრუნება საბაზრო და ინოვაციების კაპიტალში;

♦ სამეცნიერო-ტექნოლოგიური მიღწევებისა და გამოგონებების კომერციალიზაცია, ინტელექტუალური საკუთრების მოკლე დროში რეალიზაცია, არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის რესტრუქტურიზაცია;

♦ ფორმირებადი ეროვნული, რეგიონული და სახელმწიფოთაშორისო ინოვაციური სისტემების სტრატეგიული ორიენტაცია;

♦ საინოვაციო პოლიტიკაში ბიზნესის, სახელმწიფოს, მეცნიერებისა და საზოგადოების პარტნიორული გარემოს ჩამოყალიბება.

ამჟამად, საქართველოში ინოვაციური განვითარებისათვის (XXI საუკუნის დასაწყისისათვის) სასტარტო პოზიციები შეიძლება შეფასდეს როგორც საკმაოდ არასახარბიელო და არახელსაყრელი. ნეოლიბერალური საბაზრო "რეფორმებისა" და ხანგრძლივი პოლიტიკურ-ეკონომიური და ტექნოლოგიური კრიზისების გამო მკვეთრად დაეცა სამეცნიერო, საგანმანათლებლო და ინოვაციური აქტიურობა, განადგურდა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და კრიტიკულად მოძველდა ძირითადი ფონდები. გამიზნულად დაინგრა მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები, რომელთა შენობები გაიყიდა, ხოლო შემცირებული პერსონალი უმაღლეს სასწავლებლებს შეუერთეს. ამ "რეფორმის" გამო უმუშევრად დარჩა მრავალი კვალიფიციური მეცნიერი. მეცნიერებათა აკადემია გადაიქცა აკადემიკოსთა თავშეყრის ადგილად ყოველგვარი ფუნქციების, ინსტიტუტების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურისა და კადრების გარეშე. ყოფილ აკადემქალაქის ნაცვლად თბილისს შეემატა კიდევ ერთი საძინებელი კვარტალი. უნივერსიტეტების ქოლგის ქვეშ მიკედლებული მეცნიერთა მცირე კონტინგენტი დარჩა სპეციალური ბიბლიოთეკების, სამეცნიერო ფონდების, საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო დაზღვევის გარეშე.

საქართველოში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან უპირატესობა ჰქონდა ეკონომიკის ტექნოლოგიური დეგრადაციის ტენდენციებს, მეცნიერებატევადი პროდუქციის ჩანაცვლებას იმპორტულით, V ტექნოლოგიური წყობის წილის შემცირებას საერთო ტექნოლოგიებში, რის გამოც ზოგიერთი დარგი დარჩა IV ტექნოლოგიური წყობის დონეზე (მაგალითად სოფლის მეურნეობა, სადაც გლეხები, მიწის დასამუშავებლად ჯერ კიდევ იყენებენ თოხს, ბარს, პრიმიტიულ გუთანს და ა.შ.). ამასთან, სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა გამიზნულად კნინდებოდა იაფასიანი, დემპინგური იმპორტული საქონლის ჩანაცვლების გზით. აღნიშნული პოლიტიკის გამო განადგურდა თავის დროზე ისეთი წარმატებული და კონკურენტუნარიანი დარგები, როგორიცაა მეაბრეშუმეობა, მსუბუქი მრეწველობა, ჩაისა და საკონსერვო მრეწველობა, ჩარხმშენებელი, გემთმშენებელი, სასოფლო მანქანათმშენებელი დარგები და ა.შ. მანქანათმშენებლობიდან შემორჩა მხოლოდ ავიამშენებლობის ერთი საწარმო. ჩინეთის ეკონომიკური განვითარების გამო, როდესაც მთელ მსოფლიოში დაიწყო მეტალურგიულ ნაწარმზე მოთხოვნის გაზრდა, ჩვენთან გამიზნულად, უკვე დანგრეული იყო რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რათა კონკურენტი არ ყოფილიყო ჩვენი მეზობელი ქვეყნების მეტალურგიული მრეწველობისათვის. მაგრამ, ზოგიერთი ინოვაციური საწარმო გადარჩა და დღემდე აგრძელებს თანამედროვე პროდუქციის გამოშვებას. მხედველობაში გვაქვს სამხედრო კომპლექსში გაერთიანებული საწარმოები, რომელთა ჩამოთვლას აქ არ დავიწყებთ.

აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი სტრატეგია მიზანმიმართული უნდა იყოს:

♦ კრიზისის დროს განადგურებული ინოვაციური პოტენციალის აღდგენისაკენ, მოდერნიზაციისაკენ და განვითარებისაკენ;

♦ რეფორმების კორექტირებისაკენ და ეფექტიანად მოქმედი ინოვაციური მექანიზმების ფორმირებისაკენ, რომლებიც ჰარმონიულად შეაჯერებენ სახელმწიფოს მიერ ძირითად კაპიტალში ინოვაციური განახლების აქტიურ მხარდაჭერას ბიზნესმენთა უნარიანობასთან;

♦ ეროვნული ინოვაციური სისტემის ფარგლებში შექმნილი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის წინწაწევა, უცხოურ ბაზრებზე მათი პოპულარიზაცია და იმპორტული პროდუქციის მათ მიერ ჩანაცვლება.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითრება

შეიძლება 2 ვარიანტით წარიმართოს: **ინერციულ-რესურსულ-საბაზრო** და **ინოვაციურ-გარღვევითი სტრატეგიით.** რა განსხვავებაა ამ ორ სტრატეგიას შორის?

ინერციულ-რესურსულ-საბაზრო სტრატეგია გამოდის შემდეგი ძირითადი დებულებიდან:

1. **პრიორიტეტულია ბაზრის გადამწყვეტი როლი** ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში, რადგან მხოლოდ საბაზრო მექანიზმებს, თავისუფალ კონკურენციას ხელეწიფება შეარჩიოს ყველაზე კონკურენტუნარიანი საქონელი და მომსახურება, სიცოცხლისუნარიანი სამეწარმეო ძალები. ამიტომ, ამ სტრატეგიის თანახმად, საჭიროა ეკონომიკიდან სახელმწიფოს გამოდევნის კურსის გაგრძელება, მისი სოციალური ფუნქციების შეზღუდვა. სწორედ ეს ხორციელდებოდა საქართველოში, მხოლოდ იმ შესწორებით, რომ ჩვენთან არ არსებობს თავისუფალი კონკურენცია და მის მაგივრად გვაქვს კლანურობაზე დაფუძნებული ეკონომიკა, სადაც სახელისუფლო ელიტის ნების გარეშე შეუძლებელია რაიმე სერიოზული ბიზნესის წარმართვა და შიგა ბაზარზე ადგილის დამკვიდრება. ამისკენ არის მიმართული გრძელვადიანი "საბაზრო რეფორმები", რომელმაც მოიცვა საზოგადოების ყველა სფერო. მაგრამ, სანამ ყველაფერი "რეფორმირდება" – განვითარების დაჩქარების იმედი და ეფექტიანობის ზრდა სამომავლო პერიოდისათვის გადადის.

2. ამ სტრატეგიის თანახმად, **ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი ორიენტირებს წარმოადგენს**: ინფლაციის შემცირება ყველა შესაძლო ხერხებით, სახელმწიფო ქონების შემდგომი პრივატიზაციის გაგრძელება, სახელმწიფო ბიუჯეტის წილის შემცირე მშპ-ში, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერის შემცირება ინვესტიციებში, ინოვაციებში, მეცნიერებაში, განათლებაში და კულტურაში, მოსახლეობის ნაკლებ უზრუნველყოფილ ფენებში.

3. **ეკონომიკის უფრო მეტად გახსნა,** სამამულო ეკონომიკაში უცხოური კაპიტალისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა (მათ შორის უცხოური სახელმწიფო კაპიტალისათვის), დასავლეთზე ორიენტაცია საგარეოეკონომიკურ კავშირებში, ტნკ-სათვის რიგი დარგების დამორჩილება, ვითომდა ამ დარგების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად (ჩვენ გვაქვს ამ პროცესის უარყოფითი მაგალითები, როდესაც "მარტინ ბაუერს" გადასცეს საქართველოს ჩაის მრეწველობის ობიექტები, რამაც ფაქტობრივად გაანადგურა ჩაის მრეწველობა, ან "მაერსკისთვის" ფოთის პორტის მართვის უფლებით გადაცემა, რომელმაც საგრძნობლად შეამცირა შემოსავლები ქვეყნის ბიუჯეტში და ა.შ.). როგორც შემდეგ გაირკვა, ამ პროცესების შედეგები ჩვენი ეკონომიკისთვის სავალალო აღმოჩნდა.

4. **გარღვევის სტრატეგიაზე უარის თქმა,** იმის საშიშროებით, რომ მან შეიძლება გამოიწვიოს შეცდომები, მოითხოვს სახელმწიფოსაგან აქტიურობის კლებას (ვითომდა, კორუფციის მატების მიზეზით), ბუნებრივი ევოლუციის იმედად ყოფნას, ეკონომიკის პროგნოზირებისაგან, დაგეგმვისაგან მთლიანად მოწყვეტას.

შეიძლება აღინიშნოს, რომ ინერციულ-რესურსულ-საბაზრო სტრატეგიის გარდაუვალი შედეგი არის ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპები და ეკონომიკის სტრუქტურის დეგრადაცია, სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური პოტენციალის შემცირება-დაკნინება.

რაც შეეხება **ინოვაციოური გარღვევის სტრატეგიას,** ის სულ სხვა პრინციპებზეა აგებული და ითვალისწინებს:

1. ეკონომიკის განვითარების ზოგად კანონზომიერებას და მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს ტექნოლოგიებისა და წარმოებული პროდუქციის (ან მომსახურების) ინოვაციური განახლება, როგორც ეკონომიკური ზრდისა და სხვადსხვა პროდუქციაზე ან მომსახურებაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საფუძველი. განსაკუთრებით ცხადი და პრიორიტეტული ეს ხდება პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების პირობებში, რომელიც დაფუძნებულია ცოდნაზე, ანუ თავისი ბუნებით ინოვაციურობის პრინციპზე. სწორედ ასეთ ხასიათს იძენს XXI საუკუნის ეკონომიკა.

2. ეკონომიკის ინოვაციური განვითარება ხორციელდება არათანაბრად, ციკლურობით. ერთმანეთს ცვლიან აღმავალი ტალღები და ინოვაციური აქტიურობის ვარდნები ციკლურობის სხვადასხვა ფაზების დროს – საშუალოვადიანის (კუზნეცის), გრძელვადიანის (კონდრატიევის[8]) და ზეგრძელვადიანი (ტოფლერის-ცივილიზაციური). (იხ. ნახ. 1).

ე.ი. დაახლოებით ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ლიდერ ქვეყნებში და დარგებში ხდება ტექნიკის და ტექნოლოგიების ცვლა; ნახევარსაუკუნეში ერთხელ – ტექნოლოგიური წყობის ცვლა; რამოდენიმე საუკუნეში ერთხელ – წარმოების ტექნოლოგიური წესის ცვლილება.

ყოველ ცვლას წინ უსწრებს ტექნო-

[8] Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М.: Экономика, 1992.

ლოგიური და ეკონომიკური კრიზისები, რომელთა გადალახვა ხდება ინოვაციური განახლების გზით.

XXI საუკუნის დასაწყისიდან, განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო სამზადისი წარმოების პოსტინდუსტრიულ ტექნოლოგიურ წესზე გადასასვლელად და მისი შესაბამისი VI ტექნოლოგიური წყობისთვის ეკონომიკის მოსამზადებლად, რომელიც განსაზღვრავს საქონლისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე XXI საუკუნის 20-იანი წლების შემდეგ.

ციკლი	ხანგრძლივობა	განვითარების მთავარი თავისებურება
კიჩინის (ინგლისელი ჯოზეფ კიჩინი)	2-4 წელი	მარაგების სიდიდე – მშპ-ს რყევა, ინფლაცია, დასაქმება, სასაქონლო ციკლები.
ჟუგლარის (ფრანგი ეკონომისტი კლემენ ჟუგლარი)	7–12 წელი	საინვესტიციო ციკლი – რყევები მშპ-ში, ინფლაციაში და დასაქმებაში.
კუზნეცის (ამერიკელი სიმონ კუზნეცი, ემიგრანტი უკრაინიდან)	16–25 წელი	შემოსავალი–იმიგრაცია – ბინათმშენებლობა – ერთობლივი პროცესი–შემოსავალი
კონდრატიევის (ნიკოლაი კონდრატიევი)	40–60 წელი	ტექნიკური პროგრესი (ტექნოლოგიური წყობა), სტრუქტურული ცვლილებები.
ფორესტერის	200 წელი	ენერგია და მასალები
ტოფლერის	1000-2000წ.წ.	ცივილიზაციის განვითარება

ნახ. 1. სხვადასხვა ხანგრძლივობის ეკონომიკური ციკლების ტიპიზაცია

საქართველო რომ არ აღმოჩნდეს ამ ტექნოლოგიური რევოლუციის პერიფერიაზე და ქვეყანა რომ არ გახდეს ინოვაციების მხოლოდ მომხმარებლად, აქედანვე საჭირო შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და მთელი ეკონომიკური ინფრასტრუქტურის მომზადება VI ტექნოლოგიური წყობის პრიორიტეტული მიმართულებებში. რა თქმა უნდა, ეს უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნის სპეციფიკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

აღნშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ინერციულ-რესურსულ-საბაზრო სტრატეგიაზე უარის თქმა და ინოვაციური გარღვევის სტრატეგიის განხორციელება.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ამჟამად გატარებული ინერციულ-რესურსულ-საბაზრო სტრატეგია კიდევ უფრო ამწვავებს ნეგატიურ ტენდენციებს, რომლებიც ზემოთ იყო აღნიშნული.

გრძელვადიანი ინოვაციური სტრატეგიის უქონლობამ, სახელმწიფოს მიერ ბაზისური ინოვაციების მხარდაჭერის იგნორირებამ, გამათანაბრებელმა საგადასახადო სისტემამ, ინტელექტუალური საკუთრების რეალურად დაუცველობამ და სხვა ქვეყნების ანალოგიურ სისტემებთან შეუთავსებლობამ, ადგილობრივი გამოგონებების გამოყენებაზე ინდეფერენტულობამ, გამოიწვია ეკონომიკის ტექნოლოგიური დეგრადაცია. ამას დაემატა შიგა ბაზრის დაუცველობა და იმპორტული საქონლის დემპინგური ფასებით შემოტანა, რამაც გამოიწვია გადამამუშავებელი მრეწველობისთვის კონკურენტუნარიანობის დაკარგვა, მისი გამოდევნა შიგა და გარე ბაზრებიდან, ეკონომიკის სანედლეულო სტრუქტურის გარღმავება, იმპორტზე ორიენტაცია და საექსპორტო პროდუქციაზე ბარიერების შექმნა. ასეთი პოლიტიკა არახელსყრელ პირობებში აყენებს ადგილობრივ მეწარმე-ინოვატორებსა და გამომგონებლებს, განაპირობებს შემდგომ ტექნოლოგიურ ჩამორჩენას და საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის კარგვას მსოფლიოში მიმდინარე სამეცნიერო-ტექნოლოგიური გადატრიალების პირობებში.

ზემოთ აღწერილი ნეგატიური ტენდენციების გადალახვა და ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაზე გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ სტრატეგიული ინოვაციური გარღვევის დახმარებით, რომელიც ორიენტირებული იქნება თანამედროვე V და პერსპექტიული VI ტექნოლოგიური წყობის ცალკეული პიონერული მიმართულებების ათვისებაზე. ამასთან, საჭირო იქნება სელექციური სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაცია სტრატეგიული პრიორიტეტების ვიწრო მიმართულებებით, სახელმწიფოს მიერ ბაზისური ინოვაციების აქტიური მხარდაჭერა და ხელსაყრელი ინოვაციური კლიმატის შექმნა.

ამ სტრატეგიის თეორიული საფუძველი უნდა იყოს:

1. გვიანინდუსტრიული საზოგადოებისა და ტნკ-ს ინტერესების გამომხატველი ნეოლიბერალიზმის იდეებზე უარის თქმა;
2. პოსტინდუსტრიული ჰუმანისტურ-ნოოსფერული[9] ტიპის ცოდნის ეონომიკაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირება;
3. ქვეყნის თანამედროვე და პერსპექტიული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
4. სახელმწიფოს მიერ თავისი სტრატეგიუ-

[9] **ნოოსფეო** - ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს გონების სფეროს; საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთმოქმედების სფეროს, რომლის ფარგლებში ადამიანის გონებრივი მოქმედება ხდება განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი. **ნოოსფერო** – სავარაუდოდ უფრო ახალი, უმაღლესი სტადიაა ბიოსფეროსი, ის დაკავშირებული საზოგადოების განვითარებასთან, რომელიც ღრმა ზემოქმედებას ახდენს ბუნებრივ პროცესებზე.

ლი ინოვაციური ფუნქციის შესრულება ბიზნესთან ერთად;

5. საქართველოს მიერ მსოფლიოს გლობალიზებული ეკონომიკის ტექნოლოგიურ ტრანსფორმაციაში გარკვეული ადგილის დაკავება;

საჭიროა ობიექტურად შეფასდეს და გამოყენებულ იქნას ეს ხელსყრელი ფაქტორები ინოვაციური გარღვევისათვის, რომელიც შეიძლება შესუსტდეს ან ნაწილობრივ დაიკარგოს ინერციულ-რესურსულ-საბაზრო სცენარის განხორციელების შედეგად.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნეგატიური ტენდენციებისა და მოვლენებისა, საქართველომ ჯერ კიდევ შეინარჩუნა ინოვაციური გარღვევის პოტენციალი:

მთელ რიგ ფუნდამენტურ სამეცნიერო მიმართულებებში, რომლებიც საფუძვლად უდევს VI ტექნოლოგიურ წყობას და ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირებას;

რიგ სამამულო გამოგონებებში, რომლებიც შეიძლება გახდნენ საფუძველი პრინციპულად ახალი ინოვაციური პროდუქციისა და ტექნოლოგიების;

ჯერ კიდევ შემორჩენილ მაღალტექნოლოგიურ სამეცნიერო-საწარმოო (ბიოტექნოლოგიებში, ფარმაკოქიმიაში, ფარმაციაში, იზოტოპებისა და ბირთვულ ფიზიკაში, ახალი მასალების შექმნაში, სამხედრო კომპლექსში და ა.შ.) ორგანიზაციებში და ცალკეულ მეცნიერთა ჯგუფებში;

ინოვაციებზე ორიენტირებულ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, პროგრამისტთა კადრებში, რომლებსაც ხელეწიფებათ ეფექტიანი, ახალი და კონკურენტუნარიანი ნოვაციური პროდუქციის შექმნა;

ინოვაციების განახლებისათვის, რისთვისაც შეიძლება გამოყენებულ იქნას, ბანკების, სახელმწიფოს, ბიზნესმენებისა და სხვადასხვა ფინანსური ორგანიზაციების რესურსები, რათა დაფინანსდეს ინოვაციურ-ინვესტიციური პროექტები.

ინოვაციური გარღვევის სტრატეგია საფუძვლად უნდა დაედოს ჩამოსაყალიბებელ **ეროვნულ ინოვაციურ სისტემას**, რომლის **მისიაა** – ქვეყნის განვითარების ინოვაციურ ტიპზე გადაყვანის უზრუნველყოფა შერჩეული პრიორიტეტების საფუძველზე, რათა გახდეს პერსპექტიული სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის ღერძი, მთავარი სამოქმედო ორიენტირი, საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ბიზნესისათვის.

ნებისმიერი გრძელვადიანი სტრატეგიული დოკუმენტის შესამუშავებლად აუცილებელია გლობალური სამეცნიერო-ტექნოლოგიური გადატრიალების გათვალისწინება.

XXI საუკუნის პირველ ნახევარში მოსალოდნელია ღრმა სამეცნიერო-ტექნოლოგიური გადატრიალება, რომელსაც ექნება უშუალო გავლენა საქართველოზეც. ეს გადატრიალება ასახვას ჰპოვებს[10] დიდ სამეცნიერო რევოლუციაში, პოსტინდუსტრიული სამეცნიერო პარადიგმის ფორმირებაში, მსხვილი აღმოჩენებისა და გამოგონებების მოზვავებულ ნაკადში, რომლებიც შექმნიან პრინციპულად ახალ შესაძლებლობებს და დასახავენ გზებს ადამიანის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ენერგიის წყაროებზე, ახალ მასალებზე, პროდუქციაზე, ტექნოლოგიურ სისტემებზე, ბუნების რაციონალურად გამოყენებაზე, წარმოებისა და მართვის ორგანიზაციის ახალ ეფექტიან ფორმებზე;

წარმოების ტექნოკრატული, ბუნებათსარგებლური ინდუსტრიული ტექნოლოგიური მეთოდიდან პოსტინდუსტრიულ ტექნოლოგიურ მეთოდზე გადასვლაში; ამ გადასვლას წამყვან ქვეყნებში მოუნდება ნახევარი საუკუნე, ხოლო პერიფერიული ქვეყნებისათვის გადასვლის პერიოდი გასტანს გაცილებით დიდხანს;

2020 წლამდე სამყარო თანამედროვე V კონდრატიევის ციკლის აღმავალი ფაზიდან სტაბილიზაციის ფაზაზე გადავა და ადეკვატური V ტექნოლოგიური წყობაც დაამთავრებს არსებობას; 2020 წლიდან დაიწყება VI ტექნოლოიური წყობის ათვისება, რომელიც თავის სიმწიფეს მიაღწევს 2030-2050 წლებში, ხოლო შემდეგ დაღმავალი ფაზა დასრულდება 2060 წლისთვის. სწორედ 2020 წლიდან, VI ტექნოლოგიური წყობაში გამოშვებული საქონელი და მომსახურება განაპირობებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას. ამიტომ, საქართველოს გრძელვადიანი სტრატეგია გათვლილი უნდა იყოს 2050 წლამდე, რათა მოიცვას მეექვსე ტექნოლოგიური წყობის აღმავალი (2020-2029 წლები) და სტაბილიზაციის ფაზები (2030-2050 წლები). ***ტექნოლოგიური წყობებისა და ციკლების გარდამავალ პერიოდებში მწვავდება წინააღმდეგობები, ხდება ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ვარდება ტექნოლოგიური სისტემების ეფექტიანობა, ნელდება ეკონომიკური ზრდის ტემპი, ღრმავდება ყოველ 10 წელიწადში პერიოდულად განმეორებადი ეკონომიკური კრიზისები, მძაფრდება კონკურენცია მსოფლიო და***

[10] «Russia 2050: Strategy of Innovative Break-Through». **Kuzyk B.N. , Yakovets Yu.V. Moscow, Izdatelstvo VES MIR, 2005. - 562 p.**

შიგა ბაზრებზე. 2020-2030 წლებში VI კონდრატიევის ციკლის აღმავალ ფაზაში მოსალოდნელია შებრუნებული ტენდენციები. ე.ი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია, რომ **2020 წლამდე გაგრძელდება კრიზისები და ტექნოლოგიური პროგრესის შენელება, ხოლო 2020 წლიდან დაიწყება VI ტექნოლოგიური წყობა და 2030 წლამდე მის აღმავალ ფაზაში მოსალოდნელია ტექნოლოგიების ბუმი, რომელიც 2050 წლამდე გაგრძელდება.**

საქართველოში შესამუშავებელი კონცეფციაშიც გათვალისწინებულ უნდა იქნას ზემოთ აღნიშნული გარემოებები, მომზადდეს და საფუძველი ჩაეყაროს დეტალურად გაწერილ **საქართველოს ინოვაციური განვითარების (გარღვევის) სტრატეგიას**, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა, სპეციფიკა, რესურსული შესაძლებლობები, გლობალური პროცესები, ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები და მომავლის ხედვა.

იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ნეოლიბერალური რეფორმებით სახელმწიფოს სტრატეგიულ-ინოვაციური ფუნქცია შესუსტდა (თუ სრულიადაც არ დაიკარგა), რამაც თავის მხრივ გამოიწვია ქაოტურობა გარდაქმნებში და კრიზისის შემდგომი გარდმავება, საჭიროა ამ ინოვაციური ფუნქციის გააქტიურება და ქვეყნის ინოვაციურ რელსებზე დაყენება.

პოლიტიკაში ბატონ ბიძინა ივანიშვილის შემოსვლამ გააჩინა ახალი იმედები საზოგადოებაში. სასიკეთო პოლიტიკურ ძვრებთან ერთად უნდა მოხდეს ეკონომიკის გამოცოცხლება, სოციალურ-პოლიტიკური პირობების სტაბილიზაცია და სახელმწიფოს განმტკიცება.

აღნიშნული სასიკეთო ძვრები ვერ განხორციელდება პოლიტიკური ელიტის ცვლილების, სახელმწიფოს გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და მისი თანმიმდევრული განხორციელების გარეშე, რომლის მთავარი მიმართულება უნდა იყოს გრძელვადიანი ინოვაციური გარღვევის სტრატეგია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Леонтьев В.В. Межотраслевая Экономика. Пер. с англ. М.: Экономика. 1997 стр. 20-21.
2. Леонтьев В.В. Экономические эссе. Теории, исследования, факты, политика. М., 1990С.11-15.
3. Леонтьев В.В. Межотраслевая Экономика. Пер. с англ. М.: Экономика. 1997 стр. 21.
4. "საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია. http://www.regnet.org.ge/65,ganvitareba_sakartveloshi
5. რეგიონული სტრატეგიები – ქვეყნის განვითარების საწინდარი. ე. ბარათაშვილი, ნ. ძიძიკაშვილი, ნ. ნადარეიშვილი, თ. აბრალავა. ჟურნ. „საქართველოს ეკონომიკა" № 3, 2008. 63-66გვ.
6. Портер, Майкл, Э. Конкуренция,: Пер. с англ. – М.: Издательский дом «Вильямс». 2005. 608с.
7. Государственное регулирование рыночной экономики.: Учебник. 2-е изд. М.: РАГС. 2002. Гл. 27.28.
8. Кондратьев Н.Д. Избранные сочинения. М.: Экономика, 1993.
9. Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М.: Экономика, 1992.
10. Кинг У.,Клиланд Д. Стратегическое планирование и хозяйственная политика. - М.:Прогресс, 1982. С. 145.
11. Минцберг Г.,Альстрэнд Б.,Лэмпел Дж. Школы стратегий / Пер. с англ. СПб: Изд-во "Питер", 2000. С. 303.
12. Янч Э. Прогнозирование научно-технического прогресса. М. : Прогресс, 1974.
13. Яковец Ю. В. Эпохальные инновации XXI века. М.: Эономика, 2004.
14. Эйрес Р. Научно-техническое прогнозирование и долгосрочное планирование. М.: МИП, 1974.
15. «Russia 2050: Strategy of Innovative Break-Through». **Kuzyk B.N. , Yakovets Yu.V. Moscow, Izdatelstvo VES MIR, 2005. - 562 p.**
16. World development indicators 2012. **data.worldbank.org/sites/default/.../wdi-2012-ebook.pdf.**

РАЗМЫШЛЕНИЯ О СТРАТЕГИЧЕСКОМ РАЗВИТИИ ГРУЗИИ

ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ
Доктор экономических наук, профессор ГТУ
НАНА НАДАРЕИШВИЛИ
Доктор географии, профессор ГТУ
НОДАР ДЗИДЗИКАШВИЛИ
Эксперт по стратегическому планированию

Работа посвящается вопросам долгосрочного планирования социально-экономического развития Грузии. В работе подчеркнуто, что в настоящее время, разработка научно-аргументированной единой комплексной стратегии и соответствующих действующих программ является важнейшей и первоочередной задачей. По мнению авторов, отсутствие предвидения долгосрочного будущего, целей и стратегии их достижения, вызывает потерю конкурентоспособности и фокусирования, а также нерациональную трату ограниченных ресурсов. В работе отмечено, что Грузия является одной из тех стран, которая не имеет светлую, прагматичную, хорошо продуманную долгосрочную стратегию, которая была бы основана на развитии общественного, иновационного и технологического прогнозирования и будущего видения. Несмотря ни на что, определенная долгосрочная политика была бы важнейшим инструментом, потому что в случаее замены политической элиты,население имело бы гарантию предвидения наследственной и государственной политики,стабильного сценария.

Социально-экономическое развитие Грузии авторы прогнозируют в виде 2-х возможных сценариев: **инерционно-ресурсо-рыночной и иновационно-прорывной стратегии.** Обязательным итогом **инерционно-ресурсо-рыночной стратегии** является низкий темп экономического роста и деградация экономической структуры,уменьшение-умаление научно-технического и иновационного потенциала. Что касается **иновационно-прорывной стратегии,** она наиболее приемлема из-за скудных природных ресурсов и территорий. Поэтому необходим отказ от инерционно-ресурсо-рыночной стратегии и осуществление иновационно-прорывной стратегии,в которой будет предусмотрены реальное состояние, специфика,ресурсные возможности,глобальные процессы,тенденции технологического развития и будущее видение нашей страны.

В связи с тем, что осуществленные в нашей стране неолиберальные реформы привели к ослаблению (даже к потере) стратегическо-иновационной функции государства, что в свою очередь вызвало хаос в перестройке и дальнейшее углубление кризиса,необходима активизация этой иновационной функции и перевод страны на рельсы иновационного развития.